სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

28 თებერვალი 2025

N 21/1563

ი/მ ჯამბული ერგემლიძეს

მის: ქ. თერჯოლა, თბილისი-ლესელიძის გზატკეცილი 204 კმ
ელ. ფოსტა: jambuergemlidzei@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

სააგენტომ განიხილა თქვენი №925 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ზესტაფონში, სტაროსელსკის ქ. №23-ში ტეშენიტის ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის მოწყობა-ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადებისა და თანდართული shp ფაილების მიხედვით, ტეშენიტის ქვის ნატეხების გადამამუშავებელი (სამსხვრევი) დანადგარის განთავსება დაგეგმილია ქ. ზესტაფონში, სტაროსელსკის ქ. №23-ში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 32.10.33.632; ფართობი: 5 838 $მ^2$) განთავსებული ტეშენიტის ქვის სახერხი (სველი მეთოდით) საამქროს ტერიტორიაზე (ფართობი: 247 $მ^2$). აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში წარმოდგენილია მხოლოდ სამსხვრევი დანადგარის განთავსების ადგილის GPS კოორდინატები (X-335541, Y-4664977), რომელიც არ ემთხვევა სკრინინგის განცხადებასა და თანდართულ shp ფაილებში მოცემულ მიწის ნაკვეთს და საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ტეშენიტის ქვის გადამამუშავებელი საწარმოს შემადგენელი ძირითადი და დამხმარე ინფრასტრუქტურის განთავსების GPS კოორდინატები შესაბამის გენგეგმაზე დატანით და გაფრქვევის წყაროების ჩვენებით;
- №1 ცხრილში მითითებულია, რომ საწარმოს წარმადობა შეადგენს 80 000 ტ/წელ-ს (სველი ხერხვა), საიდანაც 2000 ტ/წელ ტეშენიტის ქვის ნარჩენი გადამუშავდება მშრალი მეთოდით (1,6 ტ/სთ). ამავე ცხრილში საწარმოს სამუშაო რეჟიმად მითითებულია წელიწადში 240 დღე, დღე-ღამეში 8 საათი. ამასთან, მე-2 და მე-3 თავებში (გვ. 5-6) ყბებიანი სამსხვრევის წარმადობად მითითებულია 5-14 $მ^3$/სთ, ხოლო მე-3 თავში აღნიშნულია, რომ სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს წარმადობა იქნება 1,6 ტ/სთ და სამუშაო რეჟიმის (240 დღე, 8 სთ; 1920 სთ/წელ) გათვალისწინებით უზრუნველყოფილი იქნება წელიწადში 2880 ტონა ღორღის წარმოება. ამავე თავში მითითებულია, რომ საწარმო წელიწადში გადაამუშავებს მხოლოდ 2000 ტონა ტეშენიტის ქვის ნატეხებს (ნარჩენს). გარდა ზემოაღნიშნულისა, მე-10 თავში გ-4 წყაროდან (ყბებიანი სამსხვრევი) გაფრქვევის გაანგარიშებაში სამუშაო რეჟიმად მითითებულია 120 დღე, 8 საათი (960 სთ/წელ). ვინაიდან, ზემოაღნიშნული ინფორმაცია ურთიერთშეუსაბამოა, დაზუსტებას საჭიროებს როგორც სამსხვრევ-დამხარისხებელ დანადგარზე გადასამუშავებელი ტეშენიტის ქვის ნატეხების და მიღებული პროდუქციის წლიური რაოდენობები, ისე სამუშაო რეჟიმი. ამასთან, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის რაოდენობრივი ანგარიში უნდა გადამუშავდეს დაზუსტებული

ინფორმაციის გათვალისწინებით. გარდა ზემოაღნიშნულისა, №4 ცხრილში წარმოდგენილი გაფრქვევის ანგარიშები ტეშენიტის ქვის სველი მეთოდით გადამუშავებისას არასწორია და საჭიროებს ხელახალ გაანგარიშებას. ამასთან, დოკუმენტის ტექსტურ ნაწილში სხვადასხვა ადგილას მითითებულია სასარგებლო წიაღისეულის სხვადასხვა სახეობები (ტეშენიტის ქვა, გრანიტი, ქვიშა, ღორღი), შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში გადასამუშავებელი სასარგებლო წიაღისეულის სახეობა;

- სკრინინგის განცხადებაში მოცემული წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები მითითებულია არასწორად და საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ზედაპირული წყლის ობიექტიდან (უსახელო ღელე) ამოსაღები წყლის რაოდენობები, თვეების მიხედვით;
- დოკუმენტის მე-11 გვერდზე მითითებულია, რომ სახიფათო ნარჩენებიდან მოსალოდნელია 200 კგ ნარჩენი ზეთის წარმოქმნა, თუმცა, №2 ცხრილში (გვ. 23), სადაც მოცემულია მოსალოდნელი ნარჩენების მონაცემები, ნარჩენი ზეთები მითითებული არ არის. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობის შედეგად მოსალოდნელი ნარჩენების და მათი შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტის მე-5 თავში მითითებულია, რომ სალექარის ექსპლუატაციის შედეგად წარმოიქმნება შლამი, წლის განმავლობაში დაახლოებით 3 000 ტონა, რომელიც რეალიზდება სამშენებლო ბლოკის მწარმოებლებზე. სალექარში გროვდება როგორც საწარმოო, ასევე სანიაღვრე წყლები. ამასთან, მე-15 თავში აღნიშნულია, რომ სანიაღვრე წყლის შემკრებ აუზში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენი (დაბალი ხარისხის ქვიშა, წელიწადში არაუმეტეს 1 ტონა) გამოყენებული იქნება მშენებლობაში, ასევე დაზიანებული ფართობების რეკულტივაციისათვის. ზემოაღნიშნული ინფორმაცია ურთიერთშეუსაბამოა და საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ №5.1 ცხრილში მოცემული ხმაურის ბგერითი სიმძლავრის დონეები და ტექსტურ ნაწილში უახლოეს მოსახლესთან მიღებული ხმაურის დონე ურთიერთშეუსაბამოა და საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტის მე-12 თავში მითითებულია, რომ ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები დაერთებულია ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაზე, თუმცა, აქვე აღნიშნულია, რომ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები იკრიბება საასენიზაციო ორმოში. შესაბამისად, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვის საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- კუმულაციური ზემოქმედების თავში მითითებულია, რომ საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით მდებარეობს სს „საქკაბელის“ ელასტიკური ნივთიერებების საწარმო, ჩრდილო-აღმოსავლეთით – სს „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა“, სამხრეთით – შპს „მეტალლაინის“ ფეროშენადნობთა საწარმო, ხოლო მიმდებარე არეალში ანალოგიური ტიპის ობიექტები არ არსებობს. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, საწარმოს განთავსების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 32.10.33.632) ფიქსირდება სხვადასხვა შენობა-ნაგებობები, რომელთა ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, საწარმოს 500-მეტრიან რადიუსში ასევე განთავსებულია კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, მათზე არსებული შენობა-ნაგებობებით, რომელთა ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედების საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

- **სკრინინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოო დანიშნულებით წყალაღება ხორციელდება უსახელო ღელედან, თუმცა სააგენტოსთან ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობები შეთანხმებული არ არის.**

აქვე გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადება გაუმართავია, შეიცავს ტექნიკურ და შინაარსობრივ უზუსტობებს და საჭიროებს საფუძვლიან გადამუშავებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/1563-21-2-202502281143